ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 9 თვის ანგარიში

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2023 წლის 19 დეკემბერს და განისაზღვრა ბიუჯეტი 10 209,1 ათასი ლარით. 2024 წლის 9 თვის განმავლობაში განხორციელებული 7 ცვლილებით ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი გახდა 20 078, 9 ათ.ლარი. კერძოდ: წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის ასახვით (1 733,3 ათ.ლარი), საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბერს N 2402 განკარგულებით (4 162.3 ათ. ლარი) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბერს N 2400 განკარგულებით (500,0 ათ. ლარი) ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად.'' საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბერს N 2401 განკარგულებით (294,0 ათ. ლარი) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულებით (151,3 ათ.ლარი) ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ გამოყოფილი თანხა; საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N 44 განკარგულებით (206,7 ათ. ლარი) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის N 746 განკარგულებით (400,0 ათ. ლარი) მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდამჭერის პროგრამის ასიგნებიდან გამოყოფილი კაპიტალური გრანტი.

2024 წელი - ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანალიზი: შემოსავლების გეგმა 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 15 746,8 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 12 224,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 77,6%-ით. აქედან: **გადასახადებიდან** 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 7 930,0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 7919,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 99,87 %-ით. აქედან: **დამატებული ღირებულების** გადასახადი დაგეგმილი იყო 5 750,9 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 4 848,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 84,31%-ით. **ქონების გადასახადიდან** 2024 წლის 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 2 179,0 ათასი ლარი, შემოვიდა 3 071,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 140,9 %-ით. მ/შს: საქართველოს საწარმოთა ქონებისა (გარდა მიწისა) შემოვიდა - 3 055,9 ათასი ლარი; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 14,4 ათასი ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 0,9 ათასი ლარი; **გრანტებიდან** მიღებული შემოსავლები შესრულდა 51,21%-ით, დაგეგმილი იყო 7 249,9 ათასი ლარი, ფაქტმა შეადგინა 3 712,8 ათასი ლარი. **სხვა შემოსავლები:** დაგეგმილი იყო 567,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 591,8 ათასი ლარი, გეგმა

შესრულდა გადაჭარბებით 104,4%-ით. აქედან: **შემოსავლები საკუთრებიდან** დაგეგმილი იყო 400,0 ათასი ლარი, შემოსავალმა შეადგინა 410,0 ათასი ლარი.

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალი 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 130,0 ათასი ლარი, შეადგინა 145,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 111,8%-ით. **რენტა** დაგეგმილი იყო 270,0 ათასი ლარი ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 264,7 ათას ლარს. **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** - დაგეგმილი იყო 24,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 35.3 ათასი ლარი.(147.2%) მ.შ.:სანებართვო მოსაკრებლი დაგეგმილი იყო 4,0 ათასი ლარი, შემოვიდა 14,9 ათასი ლარი. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვი სდაგეგმილი იყო 20,0 ათასი ლარი, შემოსავალმა კი შეადგინა 18,2 ათასი ლარი და შესრულდა 91,0%-ით; შემოსავალმა მომსახურების გაწევიდან შეადგინა 2,1 ათასი ლარი. **ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლებში** გეგმა შესრულდა 76,9%-ით. დაგეგმილი იყო 143,0 ათასი ლარი. მიღებულმა შემოსავალმა კი შეადგინა 110,0 ათასი ლარი. **არაფინანსური აქტივების კლებიდან** დაგეგმილი იყო 782,0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 779,9 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 9%-ით.**სულ ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა** ექვსი თვის განმავლობაში შესრულდა 78,6%-ით. 2024 წლის მესამე კვარტალში დაგეგმილი იყო 16 528,8 ათასი ლარი, მიღებულმა საკასო შემოსულობებმა კი შეადგინა 13 004,2 ათასი ლარი.

9 თვის გადასახდელები: გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18 420,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11 054,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 60,0 %-ია. მათ შორის: **ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6 848,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 785,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84,5%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 52,3%-ია. **არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11 572,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 268,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 45,52 %-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 47,66%ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 0,0 ათასი ლარი,

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში 9 თვის გეგმა განისაზღვრა 1 737,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 653,1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95,2 %-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 14,95 %-ია. **„საქონელი და მომსახურების" მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 1 277,3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 798,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 62,5 %-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 7,2 %-ია. **„პროცენტის" მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 0,0 ათასი ლარის ოდენობით. **„სუბსიდიების" მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 705,0

ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 348,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 86,8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 21,24 %-ს შეადგენს. „სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: ა(ა)იპ გარე განათების დაფინანსება - 154,1 ათასი ლარი; (გეგმა-161,1ათასი ლარი;)სარწყავი არხების მოწყობა რეაბილიტაციის ხელშეწყობა - 192,4 ათასი ლარი; (გეგმა-232,3 ათასი ლარი;) ა(ა)იპ კეთილმოწყობა - 375,5 ათასი ლარი; (გეგმა-459,2 ათასი ლარი;) სკოლამდელი განათლება - 921,1 ათასი ლარი; (გეგმა-1011,0 ათასი ლარი;) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის - 258,0 ათასი ლარი; (გეგმა-293,0ათასი ლარი;) კულტურის და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის 340,5,0ათასი ლარი; (გეგმა 390,2-ათასი ლარი;) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით 107,2 ათასი ლარი;) (გეგმა-158,1 ათასი ლარი;)

„გრანტების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 53,3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 36.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 68,0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 1%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 655,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 582,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,9%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 5,27%-ს შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: მოსახლეობის უფასო სასადილოთი მომსახურება გეგმით 45,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 29,3 ათასი ლარი. სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯი გეგმით 90,0 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 63,8,0 ათასი ლარი; ახალდაბადებულ ბავშვთ დახმარების პროგრამა – გეგმით 38,0 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 30,8 ათასი ლარი; სხვა სოციალური დახმარებები - გეგმით განისაზღვრა 430,6 ათასი ლარი; ფაქტიური შესრულება 417,5 ათასი ლარი; ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯი გეგმით განისაზღვრა 2,0 ათასი ლარი;ფაქტიური შესრულება 0,3 ათასი ლარი;ასევე საავადმყოფო ფურცელხე მყოფთა დახმარება - გეგმით განისაზღვრა 50,0 ათასი ლარით; ფაქტიური შესრულება 41,2 ათასი ლარი; **„სხვა ხარჯების” მუხლით** საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 420,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 365,5 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 87,0 %-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 2,3%-ია.

დასახელება	2024 წლის 9 თვის გადასახდელების შესრულება		
	გეგმა	საკასო შესრულება	პროცენტი
ხარჯები	**4 932,3**	**3 772,6**	**76.5%**
შრომის ანაზღაურება	1 737,3	1 653,1	95,2%
საქონელი და მომსახურება	1 277,3	789,9	61,8%
პროცენტები	0,0	0,0	
სუბსიდიები	2 705,0	2348,7	86,8%
გრანტები	53,3	36,6	68,6%
სოციალური უზრუნველყოფა	656,6	582,8	88,8%
სხვა ხარჯები	420,3	365,5	87,0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**11 572,0**	**5268,6**	**45,5%**
ვალდებულებები	**0,0**	**0,0**	**0,0%**
სულ გადასახდელები	**18 420,8**	**11054,2**	**60,0%**

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა: მმართველობა და დანიშნულების ხარჯმა შეადგინა– 2 752,6 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 3 357,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 82,0 %-ით.**ეკონომიკური საქმიანობის** ხარჯმა შეადგინა – 3,591,3 ათასი ლარი, რაც გეგმის -8195,4 ათასი ლარის 43,8 % -ია. **გარემოს დაცვა** ფაქტიური ხარჯის მიხედვით არის– 482,6 ათასი ლარი, ხოლო გეგმა შეადგენს 1 014.5 ათას ლარს, გეგმა შესრულდა-47,6%-ით ;**საბინაო–კომუნალური მეურნეობის** ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 864,5 ათასი ლარი, ხოლო გეგმა შეადგენს 1255,1 ათს ლარს. გეგმა შესრულებულია -გეგმა 68,9 %-ით; **ჯანმრთელობის დაცვის** ხარჯმა შეადგინა –86,0ათასი ლარი, დაგეგმილი იყო-202,4 ათასი ლარით, გეგმა შესრულებულია -42,5 %-ით; **დასვენება, კულტურა და რელიგიის** ხარჯი შეადგენს–1558,4 ათასი ლარს , გეგმა - 2 431,6 ათასი ლარს, გეგმა შესრულებულია -64,1%-ით; **განათლება**–ხარჯი შეადგენს–1129,8 ათასი ლარს , გეგმა - 1308,0 ათასი ლარს, გეგმა შესრულებულია -80,4%-ით; **სოციალური დაცვა**-ხარჯი შეადგენს–589,0 ათასი ლარს , გეგმა -656,1 ათასი ლარს, გეგმა შესრულებულია -89,8 %-ით;

2024 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 5935,3 ათასი ლარი რაც გეგმის (13 449,8 ათასი ლარი) 44,1% - ია.

2024 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა: **ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** - 4 562,2 ათასი ლარი,

რაც გეგმის (10 005,0 ათასი ლარი) 45,6 %-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 41,3%-ია. **დასუფთავება და გარემოს დაცვა-** 376,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (460,0 ათასი ლარი) 81,8 %-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 3,4%-ია. **განათლება** - 1 129,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1308,0 ათასი ლარი) 86,4%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 10,2%-ია. **კულტურა, რელიგია,ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** - 1 558,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2431,6 ათასი ლარი) 64,1%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 14,1%-ია. **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 675,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (858,5 ათასი ლარი) 78,6 %-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 6,1%-ია. **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი** - 2 752,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 357,8 ათასი ლარი) 82%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 23,8%-ია.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხაზით გახარჯული თანხები მიმართული იყო შემდეგნაირად:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის პროგრამული კოდიდან სამუშაოებზე დახარჯული იქნა 3 062,4 ათასი ლარი, აქედან ასპინძის მუნიციპალიტეტში და სოფლებში გზების მიმდინარე შეკეთებაზე და მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 130,5 ათასი ლარი, ვიდეოსათვალთვალო კამერების მოვლა -შენახვაზე 6,8 ათასი ლარი , ხოლო 2 925,1 ათასი ლარი გზების ქუჩების ხიდების და საყრდენი კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმართული იყო : დაბა ასპინძის ჩიხების რეაბილიტაციაზე, რომელიც დაიწყო 2023 წელს და 2024 წლის ივნისის თვეში დასრულებულია მასზე მიმართული იყო 238,3 ათასი ლარი. აგრეთვე სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაციაზე მიმართული იყო 543,9 ათასი ლარი;დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაციაზე- 201,1 ათასი ლარი; ქუჩების საზედამხედველო მომსახურებაზე 21,7 თასი ლარი. სოფელ დამალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციაზე მიმართული იყო 437,2 ათასი ლარი. სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაციაზე მიმართული იყო 134,3 ათასი ლარი.სოფელ იდუმალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციაზე 366,4 ათასი ლარი.აგარის მონასტერში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 331,9 ათასი ლარი. სოფელ ოთის შიდა გზის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 168,9 ათასი ლარი. სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაციაზე ადგილობრივი თანხებით გაიხარჯა 139,6 ათასი ლარი.

გზების საზედამხედველო მომსახურებაზე 50,3 თასი ლარი. ასპინძის-ჭობარეთის გზის 1,5 კილომეტრზე არსებული მილხიდის რეაბილიტაციაზე მიიმართ 100,1 ათასი ლარი ,დაბა ასპინძაში საყრდენი კედლების რეაბილიტაციაზე თავისი საზედამხედველო ხარჯებით 126, 6 ათასი ლარი. და ასევე გადაირიცხა საგარანტიო თნხები დაკავებული სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 64,7 ათასი ლარი. **წყლის სისტემების რეაბილიტაცია** -ექსპლუატაციაზე გაიხარჯა 160,9 ათასი ლარი, რომელიც მიმართულიიყოა დაბა ასპინძაში სარწყავი არხების რეაბილიტაციაზე და მის საზედამხედველო მომსახურებაზე.**გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციისათვის** გაიხარჯა -449,9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით ხდება ქსელის მოვლა შენახვა. დაბაში და შემდეგ სოფლებში- მირაშხანი,

თმოგვი, ნაქალაქევი, ხერთვისი, ტოლოში, გელსუნდა, ნიჯგორი, დამალა, ოთა, იდუმალა და რუსთავი. (სულ 5 480 გარე განათების წერტილი და 29 ელექტრო-გამანაწილებელი კარადა.) 174,3 ათასი ლარი.აგრეთვე სოფელ რუსთავში და ვარგავში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 44,6 ათასი ლარის.დაბა ასპინძაში გარე განათების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 231,0 ათასი ლარი.**სარწყავი არხების მოწყობა რეაბილიტაციისათვის** -192.4 ათასი ლარი. (2024 წელს მელიორაციული ფართობები შეადგენდა 920 ჰექტარს).**ბინათმშენებლობის** ხაზით **გახარჯულია 21.1 ათასი** ლარი. აღნიშნული თანხით მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შეძენა.**მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის** გაიხარჯა 0,0 ათასი ლარი; **საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-** 65,7 ათასი ლარი. **სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის** გაიხარჯა 336,6 ათასი ლარი. **დასუფთავების ღონისძიებებზე გახარჯულია** -376,2 ათასი ლარი.რაც მოიცავს დაბის, ასევე სოფლების ტერიტორიების მომსახურეობას. **განათლებაზე** 9 თვეში დაიხარჯა -1 129,8 ათასი ლარი. მ/შ: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 1 029,3 ათასი ლარი. (მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაგა-ბაღი და ირიცხება საშუალოდ 430-მდე აღსაზრდელი).ბაღების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 66,0 ათასი ლარი. საჯარო სკოლების ბავშვების ტრანსპორტირებისათვის დაიხარჯა 100,6 ათასი.**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის** ღონისძიებებზე დაიხარჯა 1 558,4 ათასი ლარი. მ/შ: **სპორტის განვითარების ხელსეწყობის** მიზნით გახარჯულია 353,6 ათასი ლარი.მ/შ სპორტული ღონისძიებებბის ხელშეწყობისათვის გაიხარჯა 95,6 ათასი ლარი.(სოფელ ივერიაში სპორტული მოედნის მოწყობა.) ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების დაფინანსებაზე გაიხარჯა 133,0 ათასი ლარი, ხოლო ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ,,ტაო''ს დაფინანსებაზე -125,0 ათასი ლარი. **კულტურის ღონისძიებების და ორგანიზაციების ხელშეწყობის** მიზნით-941,1 ათასი ლარი. მ/შ: ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება- კულტურის ცენტრის სუფსიდია 9თვის გათვალისწინებით შეადგენდა 186,9 ათას ლარს, გაიხარჯა 159,3 ათასი ლარი ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის სუფსიდია 9თვის გათვალისწინებით შეადგენდა 72,1 ათას ლარს, გაიხარჯა 60,1 ათასი ლარი. სახელოვნებო სკოლების დაფინანსება (9 თვის)-122,8 გაიხარჯა 116,5 ათასი ლარი,

კულტურის ობიექტების მშენებლობაზე გაიხარჯა -605,1 ათასი ლარი, სამუშაოები მიმართული იყო სოფელ ხიზაბავრაში კლუბის რეაბილიტაციაზე 265,7 ათასი ლარი;სოფელ ტოლოშში კლუბის რეაბილიტაციაზეგაიხარჯა 48,0 ათასი ლარი. სოფელ საროში სკვერის რეაბილიტაციაზე 169,4 ათასი ლარი ; ასევე მოხდა დაბა ასპინძის მუსილალური სკოლისა და მთავარი ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია- 102,2 ათასი ლარი. საზედამხედველო მომსახურეობაზე გაიწია 19,7 ათასი ლარი. **ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება** - 145.0 ლარიდან გაიხარჯა 63,9 ათასი ლარი.

რელიგიის ხელშეწყობის მიზნით მიიმართა გაიხარჯა 199,8 ათასი ლარი. **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის** მიზნით გახარჯულია - 675,4 ათასი ლარი, მ/შ:**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობაზე** გაიხარჯა-86,0 ათასი ლარი,**სოციალური უზრუნველყოფის ხარჯია**-589,0 ათასი ლარი; მ/შ უფასო სასადილოში მომსახურების მიზნით მიმართულია- 29,3 ათასი ლარი. (2024 წელს ასპინძაში ფუნქციონირებდა 1 უფასო სასადილო 51 ბენეფიციარით); სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცონო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამაზე გაიხარჯა 63,8 ათასი ლარი. ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 30,8 ათასი ლარით (0000 ახალშობილისათვის) .ვეტერანთა და ლტოლვილთა სარიტუალო ხარჯი გაწეულია 0,3 ათსი ლარი.სხვა სოციალურ დახმარებები დაფინანსდა 437,4 ათასი ლარით.(დაფინანსდა 204 კაცი), აღნიშნული პროგრამა მოიცავს: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (არასრულწლოვანი 4 და მეტი შვილი,მ/შ 23 წლამდე სტუდენტი) დახმარებას; ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლი შშმ სტატუსის მქონე ვეტერანებისათვის დახმარებას; ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარებას; მკვეთრად გამოხატული მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებისათვის დახმარებას; იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ხანდაზმულთათვის, დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანთათვის, შშმ არასრულწლოვანთათვის, მინდობით აღზრდაში და რეინტეგრაციაში მყოფი არასრულწლოვანთათვის დახმარებას და სხვა გამონაკლის შემთხვევებისათვის დახმარებას.
ა(ა)იპ შეზღუდული შესაზლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი დაფინანსდა 27,4 ათასი ლარით.

2024 წლის 9 თვეში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულია 2 752,6 ათასი ლარი; რაც მოიცავს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას. აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს.

სარეზერვო ფონდი- სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 60,0 ათასი ლარიდან 6 თვეში გახარჯულია 60 ათასი ლარი. ათასი ლარით მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შეძენა; ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის საკვები პროდუქტების და პირველადი საგნების შეძენა, მკურნალობის დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2024 წლის 9 თვეში დაფინანსებული პრიორიტეტებია:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024 წლის III კვარტალის ფაქტი	%
01 00	მართველობა და საერთო დანშინულების ხარჯები	2 752.6	24,9
02 00	ინფრასტრუქტურა	4 562,2	41,3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	376,2	3,4
04 00	განათლება	1 129,8	10,2
05 00	კულტურა, რელიგიაახალგაზრ დოაბის ხელშეწყობადა სპორტი	1 558,4	14,1
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოცია-ლური უზრუნვე-ლყოფა	675	6,1
სულ ჯამი		11 054.2	100,0

ინფრასტრუქტურის განვითარება

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპროექტო

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. 2024 წლის მესამე კვარტალში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა - 4 562,2 ათასი ლარი

ფუნქციონალ ური კოდი	დასახელება	I I I კვარტლის ფაქტი
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**4562,0**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	3062,3
02 02	**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**1097,6**
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	160,9
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	616,8
02 02 03 01	ა(ა)იპ გარე განათება	167,3
02 02 03 02	გარე განათების ექსპლუატაცია	449,5
02 02 04 01	სარწავი არების მოწყობა-რეაბილიტაცია	192,4
02 02 05	ბინათმშენებლობა	21,1
02 02 06	მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები	106,4
02 02 04	**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა**	**65,7**
02 03	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები**	**336,6**

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი ჰქონდეთ აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური , გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაზლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა. 2024 წლის მესამე კვარტალში გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 1308,0 ათასი ლარი. რაც გეგმის 1 129,8 ათასი ლარის 86,4%-ია.

ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება :

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსდა 1059,0 ათასი ლარით ფაქტიურად შესრულდა 963,3 ათასი ლარი.

კულტურა,ახალგაზრდობა სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება. 2024 წლის მესამე კვარტალში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 558,4 ათასი ლარი.

	დასახელება	**2024 წლის 9თვის გეგმა**	**2024 წლის 9თვის ფაქტი**
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**2431,6**	**1558,4**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**789,7**	**353,6**
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	496,8	95,6
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	293,0	258,0
05 01 02 02	ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება	168,0	133,0
05 01 02 03	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი ტაო	125,0	125,0
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**1296,8**	**941,1**
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	1296,8	941,1

05 02 01 02	ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი	186,9	159,3
05 02 01 03	მთავარი ბიბლიოთეკა	72,1	60,1
05 02 01 04	სახელოვნებო სკოლები	122,8	116,6
05 02 01 07	კულტურის ობიექტების მშენებლობა	915,0	605,1
05 03	**ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება**	**145,0**	**63,9**
05 04	**რელიგია**	**200.0**	**199,8**

ა(ა)იპ ვ.მაღრაძის სახელობისასპინძის სამუსიკო სკოლა

გამოყოფილია სუფსიდია გეგმით მესამე კვარტალში 122,8,0 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება შეადგენს 116,6 ათას ლარს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობა მოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. 2024 წლის მესამე კვარტალში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 675,0 ათასი ლარი, რაც 2023 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

	დასახელება	**2024 წლის III გეგმა**	**2024 III წლის ფაქტი**	**%**

06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**858,5**	**675.0**	**78,6%**
06 01	**ჯანდაცვა**	**202,4**	**86,0**	**42,5%**
06 01 01	საზოგადოებირვი ჯანდაცვის მომსახურება	201,6	86	43%
06 01 02	ამბულატორიები	0.5	0.0	0.0
06 02	**სოციალური უზრუნველყოფა**	**656,1**	**589,0**	**65,1%**
06 02 01	უფასო სასადილოს დაფინანსება	45,0	29,3	56,3%
06 02 02	სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა	90,0	63,8	71%
06 02 03	ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა	38,0	30,8	81,1%
06 02 04	ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯები	2.0	0,3	15%
06 02 05	სოციალური დახმარებები	450,6	437,4	97,1%

სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. 2024 წლის მესამე კვარტალში დაგეგმილი იყო 656,1 ათასი ლარი გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 589,0 ათასი ლარს.

მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების

მიზნით ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი შეადგენს 60,0 ათასი ლარს და მისი განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.ასპინძის მუნიციპალიტეტის მმართველობისა და საერთო დანიშნულებისთვის 2024 წლის III კვარტალში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 752.6 ათასი ლარი. რაც გეგმის 3 357.8 ათასი ლარის 82.0 % -ია.მათ შორის: ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 776,8 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულებამ კი შეადგინა 706.6 ათასი ლარს.ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 2 559,9 ათასი ლარი , ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2046,0 ათას ლარს. საერთო დანიშნულების ხარჯებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 21,1 ათასი ლარი შესრულება 0,0 ათასი ლარი. მათ შორის ; საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამისათვის გეგმით 8,0 ათასი ლარი ;სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თნხა გეგმით 2,0 ათასი ლარი; სარეზევო ფონდისთვის გამოყოფილი თანხა გეგმით 11,1ათასი ლარი.

		III კვარტლის ფაქტი
01 00	მართველობა და საერთო დანშინულების ხარჯები	2752,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	99
	ხარჯები	2 172,9
	შრომის ანაზღაურება	1653,1
	საქონელი და მომსახურება	345,1
	პროცენტი	0,0
	გრანტები	30,0
	სოციალური უზრუნველყოფა	41,2
	სხვა ხარჯები	103,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	579,7
	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 752,6
01 01	მომუშავეთა რიცხოვნობა	99

	ხარჯები	2 172,9
	შრომის ანაზღაურება	1653,1
	საქონელი და მომსახურება	345,1
	გრანტები	30,0
	სოციალური უზრუნველყოფა	41,2
	სხვა ხარჯები	103,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	579,7
01 01 01	ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო	706.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	26
	ხარჯები	706.6
	შრომის ანაზღაურება	560.5
	საქონელი და მომსახურება	53.0
	სოციალური უზრუნველყოფა	4,8
	სხვა ხარჯები	88,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0
01 01 02	ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია	2046,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	73
	ხარჯები	1466,3
	შრომის ანაზღაურება	1092,6
	საქონელი და მომსახურება	292,1
	გრანტები	30,0
	სოციალური უზრუნველყოფა	36,4
	სხვა ხარჯები	15.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	579.7

შუალედური შედეგი (OUTCOME)	2024	შეფასების მაჩვენებელი
მერიის მომსახურებით კმაყოფილი მოსახლეობა (%)	90	რაოდენობრივი
მერიაში შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემის საშუალო დრო (დღე)	4	ხარისხობრივი
შუალედური შედეგი (OUTPUT)	**2024**	**შეფასების მაჩვენებელი**
მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გადამზადებისათვის დახარჯული სახსრების რაოდენობა	690 ლარი (1 თანამშრომელი)	რაოდენობრივი
შემოსული წერილების რაოდენობა	5019	რაოდენობრივი
გაცემული პასუხების რაოდენობა	2291	რაოდენობრივი
მიღებული მოქალაქეების რაოდენობა	250	რაოდენობრივი
სარეზერვო ფონდიდან დახმარების გამოყოფაზე გამოცემული ბრძანებების რაოდენობა	8	რაოდენობრივი

სახელმწიფო შესყიდვების სამსახური

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით განხორციელდა ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები:

N	შესყიდვის დასახელება	სულ გამოცხადებული ტენდერი	ტენდერის სტატუსი						
			გამოცხადებულია	დასრულდა უარყოფით შედეგით	არ შედგა	შეწყვეტილია	შერჩევა/შეფასება	მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება	ხელშეკრულება დადებულია
1	ელექტრონული ტენდერი SPA	1	0	0	0	0	0	0	1
2	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT	58	0	2	11	0	1	1	43
	სულ	59	0	2	11	0	1	1	44

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ელექტრონული ტენდერები სულ გამოცხადებული იყო 7 631 170 ლარზე, გაფორმდა ხელშეკრულებები 7 213 770 ლარზე, ეკონომიამ შეადგინა - 417 400 ლარი. სულ 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ,,მიმწოდებელთან'' გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 144 ხელშეკრულება. მათ შორის: ელექტრონული ტენდერებით - 44 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვით - 83 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული შესყიდვით - 16 ხელშეკრულება და **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიერ გამოცხადებულ ერთობლივ ტენდერზე** (საავტომობილო გზების მოვლა შენახვაზე) -1 ხელშეკრულება. ზემოთაღნიშნული შესყიდვების სახელშეკრულებო ღირებულებამ მთლიანად შეადგინა - - 8 073 104 ლარი (აქედან ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე - 7 035 885 ლარი). მათ შორის: **გამარტივებულ შესყიდვით - 680 063 ლარი.** სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 510 798 ლარი; სოფლის მხარდამჭერი პროგრამით საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე - 25 665 ლარი;მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივით -43955; მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივით საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე - 2500 ლარი;,,სარეზერვო ფონდიდან''გამოყოფილი თანხიდან - 4859 ლარი; სხვა დანარჩენზე - 92 286 ლარი;

კონსოლიდირებული შესყიდვით 149 271 ლარი. მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე 131 258 ლარი;სხვა დანარჩენ შესყიდვაზე (საქონელი და მომსახურება) გაფორმდა ხელშეკრულებები 18 013 ლარზე; **ელექტრონული ტენდერებით** 7 213 770 **ლარი.** ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე გაფორმდა ხელშეკრულებები 6 451 132 ლარზე, მათ შორის: სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 244 919 ლარი; საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები - 38 890 ლარზე; დაბა ასპინძაში მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვების უზრუნველყოფის მომსახურება 50 949 ლარი; ,,სარეზერვო ფონდიდან'' სამშენებლო მასალების შესყიდვაზე - 16 777 ლარზე; სპეციალიზირებული მანქანის (ქუჩების მომრწყავ-მომრეცხი, მარილმომყრელი და თოვლმწმენდი კომბინირებული სპეციალიზირებული ავტომანქანის შესყიდვაზე - 290 000 ლარი; სხვა დანარჩენ შესყიდვაზე (საქონელი და მომსახურება) გაფორმდა ხელშეკრულებები 366 022 ლარზე. **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიერ გამოცხადებულ ერთობლივ ტენდერზე** (საავტომობილო გზების მოვლა შენახვაზე) --- **30 000 ლარზე.**

ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განხორციელებული და მიმდინარე პროექტები: სულ ზედამხედველობის სამსახურში შემოვიდა 809 წერილი და განცხადება, აქედან დამუშავებული და ჩამოწერილია 782 დოკუმენტი. 2024 წელს მომზადდა შუალედური და დასრულებული 62 აქტი. აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადებას წინ უძღვოდა ადგილზე მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად. 2024 წელს მომზადდა მიღება-ჩაბარების 46 აქტი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის მიღება-ჩაბარება-38, აქედან 23 სოფელში განხორციელდა სოფლის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2024 წელს შედგა ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებისთვის შედა მიღება-ჩაბარების 9 აქტი. 2024 წელს შედგა ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებული 14 დათვალიერების აქტი და 14 მიღება-ჩაბარება.2024 წელს ზედამხედველობის სამსახურმა შეადგინა 5 მითითება სამართალდარღვევის შესახებ, მუნიციპალიტეტში გამოვლენილ უკანონო მშენებლობებზე.2024 წელს სულ ზედამხედველობის სამსახურმა მოამზადა მშენებლობა დამთავრებული ობიექტი ექსპლუატაციაში მიღების, ვარგისად აღიარების 2 ოქმი.სულ მიმდინარეობს და დასრულებულია 8 125 940 ლარის 56 ინფრასტრუქტურული პროექტი, აქედან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასრულდა 19 პროქტი და მიმდინარეობს- 5, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი- 16, მთის

ფონდი-1, სტიქია-1, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული - 11, მოქალაქეთა ჩართულობის, განვითარების ხელშეწყობის პროგრამა-3.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ ყოველდღიურად ხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, ადგილზე მოწმდება მშენებლობის ხარისხი და გეგმა-გრაფიკის მიმდინარეობა, ასევე სისტემატურად ხდება უკანონო მშენებლობების გამოვლენა და მასზე კანონიერი რეაგირება. მიმდინარე პროექტები, რომლებზეც ხორციელდება ზედამხედველობა, მონიტორინგი და კონტროლი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

1. დაბა ასპინძის ჩიხების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-463 000 ლარი;
2. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-1 363 000 ლარი;
3. დაბა ასპინძაში საყრდენი კედლების მოწყობის. სახელშეკრულებო ღირებულება-239 678 ლარი;
4. სოფელ ოთის შიდა გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-382 000 ლარი;
5. დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი). სახელშეკრულებო ღირებულება-1005 625 ლარი;
6. დაბა ასპინძაში გარე განათების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-232 505 ლარი;
7. აგარის მონასტერში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-523 574 ლარი;
8. სოფელ საროში სკვერის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-173 762 ლარი;
9. სოფელ ხიზაბავრაში კლუბის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-272 546 ლარი;
10. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩაზე სპორტული მოედანის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-82 282 ლარი;
11. სოფელ დამალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-448 439 ლარი;
12. სოფელ რუსთავში და ვარგავში გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-42 522 ლარი;
13. სოფელ ივერიაში გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-750 800 ლარი:
14. სოფელ დამალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-398 056 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 2023

1. დაბა ასპინძაში საყრდენი კედლების მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება-239677,98 ლარი;
2. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-1 363 000 ლარი.

მთის ფონდი

1. სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაცია II-ეტაპი. სახელშეკრულებო ღირებულება-983 000 ლარი.

სტიქია

1. ასპინძის მუნიციპალიტეტში მდინარე ოთისწყალზე დაბა ასპინძაში და სოფელ ოთაში გაბიონების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-511 830 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები

1. დაბა ასპინძის ქუჩებისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის)სამუშაოების შესყიდვა. სახელშეკრულებო ღირებულება-300 000 ლარი;
2. ასპინძა-ჭობარეთის გზის 1,5 კილომეტრზე არსებული მილხიდის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-99 427 ლარი;
3. დაბა ასპინძაში სარწყავი არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-159 761 ლარი;
4. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის შიდა გზის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-169 000 ლარი;
5. დაბა ასპინძაში მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-355 980 ლარი;
6. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-181 634 ლარი;
7. სოფელ იდუმალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-653 800 ლარი;
8. დაბა ასპინძის ცენტრში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოს რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-17 700 ლარი;
9. დ. ასპინძაში გურამიშვილის ქუჩაზე მინი მოედნის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-164 565 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები 2023

1. დაბა ასპინძაში №1 და №2 ბაგა-ბაღების ეზოების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-412 998 ლარი;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის კლუბის რეაბილიტაცია.-სახელშეკრულებო ღირებულება-184 130 ლარი.

მოქალაქეთა ჩართულობის, განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

1. სოფელ ხერთვისში გარე განათების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-129661,6 ლარი;
2. სოფელ დამალის შესასვლელში საყრდენი კედლის (გაბიონის) მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-43955,09 ლარი;
3. დაბა ასპინძაში და სოფელ საროში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა და დაბა ასპინძაში ტრენაჟორების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-99069 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს განსახორციელებელი პროექტები

1. სოფელი რუსთავი - სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 22 605,22 ლარი;
2. სოფელი რუსთავი- სარწყავი წყლის, წყალსატუმბი სადგურისთვის ტრანსფორმატორის შეძენა - სახელშეკრულებო ღირებულება- 12 425 ლარი;
3. სოფელი იდუმალა- შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება 29 507,97 ლარი;
4. სოფელი ოშორა- გზისპირა მოსაცდელების მშენებლობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 47 998,16 ლარი;
5. სოფელი დამალა- გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 52 891,61 ლარი;
6. სოფელი ივერია-საბავშვო სკვერის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 68 888 ლარი;
7. სოფელი ოთა- შიდა სასოფლო გზის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 33 717,4 ლარი;
8. სოფელი ნიჯგორი-გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება-26 835.06 ლარი;

9. სოფელი სარო-სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 25 099,45 ლარი;
10. სოფელი ხიზაბავრა-სარწყავი არხების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 47 947,82 ლარი;
11. სოფელი თოკი-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (IIეტაპი). სახელშეკრულებო ღირებულება- 28 610,64 ლარი;
12. სოფელი ვარგავი-სასმელი წყლის ქსელის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება-28 810,25 ლარი;
13. სოფელი ჭობარეთი-ტრენაჟორის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 34 537,13 ლარი;
14. სოფელი ძველი-სარწყავი, სანიაღვრე არხების და წყაროს მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 34 540,4 ლარი;
15. სოფელი ორგორა-გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 18 514,33 ლარი;
16. სოფელი საყუდაბელი-გზის საყრდენი კედელის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 38 998,45 ლარი;
17. სოფელი აწყვიტა-გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 38 791,93 ლარი;
18. სოფელი ხერთვისი-საბავშვო ატრაქციონის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 32 902,3 ლარი;
19. სოფელი ტოლოში-სპორტოლი ტრენაჟორის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 47 983 ლარი;
20. სოფელი გელსუნდა-სანიაღვრო არხების მოწყობა რეაბილიტაცია- სახელშეკრულებო ღირებულება- 29 546,15 ლარი;
21. სოფელი ნაქალაქევი-საბავშვო სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით. სახელშეკრულებო ღირებულება- 45 429,45 ლარი;
22. სოფელი ფია-ხიდ ბოგირებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება- 29 199,67 ლარი;
23. სოფელი თმოგვი-სასმელი და სარწყავი წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია 18 649,75 ლარი
24. სოფელი მირაშხანი- შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება- 34 171,83 ლარი.

ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური

ასპინძის მინიციპალიტეტში 2024 წლის 01 იანვრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ. სულ განხორციელდა და მიმდინარეობს 10 547 024 ლარის 56 პროექტი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 2024 წლის

1. დაბა ასპინძის ჩიხების რეაბილიტაცია მთლნ.სახელშეკრულებო (II-ეტაპი) 463 000 ლარი; 2023 წლის 210 526 ლარი;
2. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია *მთლნ.სახელშეკრულებო 1 363 000 ლარი 2023წ - 326 316 ლარი;*
3. დაბა ასპინძაში საყრდენი კედლების მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მთლნ .სახელშეკრულებო 239 678 ლარი 2023წ - 186 504 ლარი;
4. სოფელ ოთის შიდა გზების რეაბილიტაცია მთლნ.სახელშეკრულებო 382 000 ლარი 2023 წლის - 196 012 ლარი ;
5. დაბა ასპინძაში მეფე ერეკლე II ქუჩის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) 1 005 625 ლარი.
6. დაბა ასპინძაში გარე განათების რეაბილიტაცია 232 505 ლარი;
7. აგარის მონასტერში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 523 574 ლარი;
8. სოფელ საროში სკვერის რეაბილიტაცია 173 762 ლარი;
9. სოფელ ხიზაბავრაში კლუბის რეაბილიტაცია 272 546 ლარი;

10. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩაზე სპორტული მოედანის მოწყობა 82 282 ლარი;
11. სოფელ დამალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია 448 439 ლარი;
12. სოფელ რუსთავში და ვარგავში გარე განათების მოწყობა 42 522 ლარი;
13. სოფელ ივერიაში გზის რეაბილიტაცია 750 800 ლარი;
14. სოფელ დამალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია 398 056 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 2023

1. დაბა ასპინძაში საყრდენი კედლების მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მთლნ.სახელშეკრულებო 239677.98 ლარი 2024წ - 53 174 ლარი;
2. დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია მთლნ.სახელშეკრულებო 1 363 000 ლარი 2024 წ - 1 036 683,93 ლარი .

მთის ფონდი.

1. სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაცია II-ეტაპი
   სოფელ ოშორაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად 2023-2024 წლებში (შენიშვნა: ცვლილება მთავრობის განკარგულების შეს. 2023 წელში შესრულდა 510 692 ლარის სამუშოები, ხოლო 2024 წელში 472 307,93 ლარის სამუშოები)
   მთლნ.სახელშეკრულებო 983 000 ლარი.

სტიქია 2024

1. ასპინძის მუნიციპალიტეტში მდინარე ოთისწყალზე დაბა ასპინძაში და სოფელ ოთაში გაბიონების მოწყობა. 511 830 ლარი.

ადგილებრივი ბიუჯეტი

1. დაბა ასპინძის ქუჩებისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების შესყიდვა.300 000 ლარი;
2. ასპინძა-ჭობარეთის გზის 1,5 კილომეტრზე არსებული მილხიდის რეაბილიტაცია. 99 427 ლარი;
3. დაბა ასპინძაში სარწყავი არხების მოწყობა. 159 761 ლარი;
4. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის შიდა გზის რეაბილიტაცია.169 000 ლარი;
5. დაბა ასპინძაში მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.355 980 ლარი;
6. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. 181 634 ლარი;
7. სოფელ იდუმალაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია 653 800 ლარი;
8. დაბა ასპინძის ცენტრში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოს რეაბილიტაცია.17 700 ლარი;
9. დ. ასპინძაში გურამიშვილის ქუჩაზე მინი მოედნის მოწყობა 164 565 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები 2023 წლის

1. დაბა ასპინძაში №1 და №2 ბაგა-ბაღების ეზოების რეაბილიტაცია. 412 998 ლარი;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის კლუბის რეაბილიტაცია 184 130 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია

1. **რუსთავი** სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია 22 605.22 ლარი;

2. **რუსთავი** სარწყავი წყლის, წყალსატუმბი სადგურისთვის ტრანსფორმატორის შეძენა 12 425 ლარი;
3. **იდუმალა** შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 29 507.97 ლარი;
4. **ოშორა** გზისპირა მოსაცდელების მშენებლობა 47 998.16 ლარი;
5. **დამალა** გარე განათების მოწყობა 52 891.61 ლარი;
6. **ივერია** საბავშვო სკვერის მოწყობა 68 888 ლარი;
7. **ოთა** შიდა სასოფლო გზის მოწყობა 33 717.4 ლარი;
8. **ნიჯგორი** გარე განათების მოწყობა 26 835.06 ლარი;
9. **სარო** სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია 25 099.45 ლარი;
10. **ხიზაბავრა** სარწყავი არხების რეაბილიტაცია 47 947.82 ლარი;
11. **თოკი** სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (IIეტაპი) 28 610.64 ლარი;
12. **ვარგავი** სასმელი წყლის ქსელის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. 28 810.25 ლარი;
13. **ჭობარეთი** ტრენაჟორის მოწყობა 34 537.13 ლარი;
14. **ძველი** სარწყავი, სანიაღვრეარხების და წყაროს მოწყობა 34 540.4 ლარი;
15. **ორგორა** გარე განათების მოწყობა 18 514.33 ლარი;
16. **საყუდაბელი** გზის საყრდენი კედელის მოწყობა 38 998.45 ლარი;
17. **აწყვიტა** გარე განათების მოწყობა 38 791.93 ლარი;
18. **ხერთვისი** საბავშვო ატრაქციონის მოწყობა 32 902.3 ლარი;
19. **ტოლოში** სპორტოლი ტრენაჟორი მოწყობა 47 983 ლარი;
20. **გელსუნდა** სანიაღვრო არხების მოწყობა რეაბილიტაცია 29 546.15 ლარი;
21. **ნაქლაქევი** საბავშვო სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით 45 429.45 ლარი;
22. **ფია** ხიდ ბოგირებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა. 29 199.67 ლარი;
23. **თმოგვი** სასმელი და სარწყავი წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია 18 649.75 ლარი;
24. **მირაშხანი** შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 34 171.83 ლარი.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

1. სოფელში ხერთვისში გარე განათების რეაბილიტაცია 12 9661.6 ლარი;
2. სოფელ დამალის შესასვლელში საყრდენი კედლის (გაბიონის) მოწყობა 43 955.09 ლარი;
3. დაბა ასპინძაში და სოფელ საროში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა და დაბა ასპინძაში ტრენაჟორების მოწყობა 99 069 ლარი.

2024 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვები და შეთანხმებები

1. გაიცა ხაზოვან ნაგებობებზე 12 შეთანხმება;
2. გაიცა მშენებლობაზე II კლასი. 7 ნებართვა ;
3. მშენებლობის ნებართვა I კლასი 8 ნებართვა ;
4. სამსახურში სულ შემოსულია 1 029 ერთეული კორესპოდენცია, რომელიც დამუშავდა და გაეცა შესაბამისი პასუხები. აქედან 67 წერილი სტიქიებთან და ავარიულ საცხოვრებლებთან.დაკავშირებით საიდანაც 54 მოქალაქეს გაეწია თანხობრივად და სამშენებლო მასალებით შესაბამისი დახმარებები 52 516.6 ლარის ოდენობით.

კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ რისკის შეფასების საფუძველზე მოხდა 2022-2024წწ. სტრატეგიული გეგმის შემუშავება, ხოლო სტრატეგიული გეგმის საფუძველზე 2024 წლის სამუშაო გეგმა. რომელიც მოიცავს 7 (შვიდი) აუდიტის ობიექტს. წლიური გეგმის თანახმად, კონტრტოლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ამ დროისათვის ჩაატარებულია **შესაბამისობის აუდიტი** ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის 1

(ერთი) სტრუქტურულ ერთეულში და **ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი** მერიის მიერ დაფუძნებულ 4 (ოთხი) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში. კერძოდ: ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური.ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი. ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება. ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება. ა(ა)იპ ასპინძის გარეგანათება , ხოლო ამჟამად (მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში) **ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი** მიმდინარეობს ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრში.

თითოეული აუდიტის ობიექტის შემოწმება მოხდა წლიური გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, აუდიტის ობიექტების მიმართ შედგენილ იქნა აუდიტორული ანგარიში. შესამოწმებელი საკითხების ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები. განხორციელდა მონიტორინგი გაცემულ შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე, რათა სამსახურებმა მომავალში უშეცდომოდ შეასრულონ მათზე დაკისრებული, კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურმა 2024 წლის გეგმის თანახმად 17 ივნისიდან 12 ივლისისი ჩათვლით განვახორციელეთ, ჩვენს მიერ 2023 - 2024 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შემდეგ აუდიტის ობიექტებში:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური (საანგარიშო პერიოდი 2019-2022 წწ). ჩატარდა შესაბამისობის აუდიტი, გაიცა 4 რეკომენდაცია გადამოწმდა 4 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა;
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (საანგარიშო პერიოდი 2019-2022 წწ). ჩატარდა შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 3 რეკომენდაცია. გადამოწმდა 3 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა;
3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური (საანგარიშო პერიიოდი 2021-2022წწ). ჩატარდა შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 3 რეკომენდაცია. გადამოწმდა 1 რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა;
4. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ვალერიან მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა (საანგარიშო პერიოდი 2019-2022წწ). წწ); ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 3 რეკომენდაცია. გადამოწმდა ერთი რეკომენდაცია;
5. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური (საანგარიშო პერიოდი 2020-2022წწ). ჩატარდა შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 4 რეკომენდაცია. გადამოწმდა 2 რეკომენდაცია. ხოლო 2 რეკომენდაცია არის ჩამოწერილი რეკომენდაცია, რადგან მათ დაკარგეს აქტუალობა. (ადმინისტრაციულ სამსახურში განხორციელდა რეორგანიზაცია);
6. ა(ა)იპ ასპინძის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განვითარების ცენტრი.

საანგარიშო პერიოდი (2019-2022წწ). ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 3 რეკომენდაცია. გადამოწმდა 3 რეკომენდაცია;

7. ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა საანგაიშო პერიოდი (2019-2022წწ). ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 3 რეკომენდაცია, გადამოწმდა 3 რეკომენდაცია;
8. ა(ა)იპ სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი (საანგარიშო პერიოდი 2021-2023წწ). ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. გაიცა 6 რეკომენდაცია, გადამოწმდა ერთი ვადა დამდგარი რეკომენდაცია;

მონიტორინგის შედეგად ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად. ა(ა)იპ სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა

გაერთიანება - კულტურის ცენტრმა გარვეული ობიექტური მიზეზების გამო ერთი ვადადამდგარი რეკომენდაცია ვერ შეასრულა. მონიტორინგისას აუდიტის ობიექტებში გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზები, მაგრამ გამოვლენილ ხარვეზებს ხელი არ შეუშლიათ ორგანიზაციების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. გამოვლენილი მიგნებების შესახებ გაცემული რეკომენდაციების შესრულება წარმოადგენს აუცილებელ ვალდებულებას აუდიტის სუბიექტების მხრიდან. რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისგან მივიღეთ გარანტია შეუსრულებელი რეკომენდაციების ნაწილის შესრულებაზე საქმიანობის წარმოების პროცესისას. აუდიტს მიზანშეწონილად მიაჩნია კონტროლზე დარჩეს შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა.

ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ დარეგისტრირებული მერიაში შემოსული წერილების რაოდენობა MSDA და mms-პროგრამაში შეადგენს 4137, ხოლო გასული დოკუმენტებისა 2414.

ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი „მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ხარჯვის ზოგადი წესის მიზნობრივი მოცულობა წლის დასაწყისში შეადგენდა - 562000 ლარს. წლის განმავლობაში დაემატა 120000 ლარი და გახდა 682000 ლარი.აღნიშნული პროგრამით მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში დაფინანსდა:

1. უფასო სასადილოს 53 ბენეფიციარი 28500 ლარით;
2. ქირურგიული ოპერაცია 97 ბენეფიციარი 63800 ლარით;
3. ახალშობილ ბავშვიანი 66 ოჯახი 30100 ლარით;
4. მრავალშვილიანი 82 ოჯახი 42400 ლარით;
5. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი 9 შშმ პირი 9000 ლარით;
6. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა 8 ოჯახი 8000 ლარით;
7. მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი, მოსწავლის სტატუსის მქონე 127 ბავშვი 25400 ლარით;
8. 18 წლამდე არასრულწლოვანი 140 ბავშვის სამედიცინო მომსახურება 133400 ლარით;
9. 56 ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების სამედიცინო მომსახურება 73800 ლარით;
10. აუტიზმის სპექტრის, დაუნის სინდრომის, ცერებერალური დამბლის, ეპილეფსიის, გონებრივი ჩამორჩენილობის,მწოლიარე და ეტლით მოსარგებლე შშმ და დიალეზზე მყოფი პირები 19 ბენეფიციარი 20800 ლარით;
11. 52 პნევმონიით დაავადებული მოქალაქის მკურნალობა 13800 ლარით;
12. გულისა და სისხლძარღვთა დაავადებათა კვლევა , მაგნიტო-რეზონანსული კვლევა და კომპიუტერული ტომოგრაფია 74 ბენეფიციარი 31200 ლარით;

სულ სამსახურმა მოამზადა 809 საგარანტიო წერილი და 755 ბრძანება დაფინანსების შესახებ.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

1. სამსახურის მიერ შესრულებულია 1588 სხვადასხვა ხასიათის წერილი.
2. ასპინძის მუნიციპალიტეტს დამატებით ქონებად გადმოეცა 2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
3. განხორციელდა ცვლილების რეგისტრაცია - ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაყოფა 2 ნაკვეთად.
4. მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული აუქციონი 3 მოძრავ ქონებაზე. აქედან გაიყიდა ორი, შემოსული თანხა შეადგენს - 5 647,36 ლარს.
5. გაფორმდა - 10 იჯარის ხელშეკრულება, 3 ქირავნობის ხელშეკრულება.
6. მუნიციპალიტეტში შემოსულია საიჯარო ქირა 14 200.41 ლარის ოდენობით.

7. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ 7 ობიექტზე განხორციელდა ელექტრო-ენერგიის მიწოდება, ესენია: სოფ. დამალაში, სოფ. ორგორაში, სოფ. აწყვიტაში და სოფ. ვარგავში გარეგანათებებზე ელ. ენერგიის მიწოდება; დაბა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ და სოფ. ხერთვისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობებზე ელ. ენერგიის მიწოდება; სოფ. თმოგვის ბაგა-ბაღის შენობაზე ელ. ენერგიის მიწოდება.

8. განხორციელდა სოფელ ოშორაში რიტუალების სახლზე ბუნებრივი გაზის მიწოდება.

9. მერის რწმუნებულების მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალური სამუშაოების შესასრულებლად ექსკავატორის გადაცემის შესახებ გაიცა 19 ბრძანება.

10. შედგენილია დიზელის ჩამოწერის 11 აქტი.

11. მუნიციპალიტეტის სოფლებში ექსკავატორის მუშაობის შედეგად გახარჯულია 2170 ლიტრი დიზელის საწვავი, ექსკავატორმა იმუშავა დაახლოებით 250 ტრაქტორ საათი.

იურიდიული სამსახური

სამსახურს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სულ დაეწერა 707 დავალება.

განყოფილებამ მოამზადა 418 ბრძანების პროექტი, რომელიც ეხებოდა: სარგოებს და საშტატო ნუსხას, ხარჯთაღრიცხვებს, გეგმებს და მათში ცვლილებების შეტანას, აუქციონის ჩატარებას, მიწის იჯარება, სამშენებლო ნებართვებს, სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფას, სოფლის პროექტების თანადაფინანსებას და სხვა საკითხებს; ჩვენს მიერ ასევე მოხდა სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის ჯგუფის დებულების შემუშავება, რამოდენიმე წესდებაში ცვლილებების შეტანა, კალიგრაფიის კონკურსის დებულების და კომისიის შემადგენლობის, შინაგანაწესში ცვლილების დამტკიცება„MMS“პროგრამაში სამსახურის უფროსის მუშაობა შემოიფარგლება სოციალურ პროგრამების განსახორციელებელ საქმეებზე ვიზირებით. მერიასა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე სამსახური მონაწილეობდა სტუდენტთა პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით; ამავე მემორანდუმის ფარგლებში მოხდა წიგნის დაფინანსება; ახალციხის და ტაო - კლარჯეთის ეპარქიათან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კი მოხდა ხელშეკრულების გაფორმება გამოყოფილი თანხის ხარჯვასთან დაკავშირებით.გაცნობისა და წინადადებებისათვის დაგვეწერა 38 კანონპროექტი,რომელზეც ჩვენი მოსაზრება ვაცნობეთ; ერთხელ მოვახდინეთ თანამშრომელთა შუალედური შეფასება დადგენილი წესის და კომპეტენციების შესაბამისად; კონკრეტულ სადავო საკითხებთან მიმართებაში მოვამზადეთ სარჩელები და შესაგებელი სასამართლოში საქმის წარმოების გამო.მიმდინარე წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით განხილული ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეებიდან: 4 საქმე გადაწყდა მერიის სასარგებლოდ, ერთ

საქმეზე მოპასუხემ სასამართლოში სარჩელის წარდგენისასმოახდინათანხის ჩარიცხვა (სს "არდი დაზღვევა") და ჩვენი მხრიდან შეწყდა საქმის წარმოება; ერთ საქმეზე მოსარჩელემ გაიტანა სარჩელი; ერთ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოცხადდება 31 ოქტომბერს („შპს ტენდექსი“); ერთი გადაწყვეტილებით დაგვავალდებულეს მოთხოვნის შესარულება (სამხრეთის კარიბჭე), ერთი საქმის მიმართ დაწყებულია აღსრულება (შპს“გიაკონტრაქშენი“) და ერთი საქმე შეჩერებულია.ჩვენს მიერ ასევე მომზადდა წერილი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთვის გადასაცემი, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სფეროების შესაბამისად განსაზღვრული სამუშაო ადგილების ჩამონათვალის შესახებ: ა(ა) იპ "ასპინძის კეთილმოწყობა" : არაკვალიფიციური მუშები მებაღეობაში -2(ორი); ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია: ა) პროგრამირების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნიკური დამხმარე პერსონალი - 1(ერთი) ბ)კურიერი და ფოსტის დამხარისხებელი - 1 (ერთი).

2024 წლის 15 მაისის N8.120.120241362 ბრძანებით უფროსი სპეციალისტი მარიამ ნემსაძე განისაზღვრა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად და მოამზადა „პოლიტიკის დოკუმენტი“ და „ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი“ს შესახებ დოკუმენტები. აქტიურად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს, როგორც შემუშავებული დოკუმენტების, აგრეთვე, მათი უფლება-მოვალეობების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან მიმართებით. ამ ეტაპზე მუშაობს „მონაცემთა აღრიცხვის დოკუმენტის“ შემუშავებაზე. ის აქტიურად ესწრებოდა ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს. წარმატებით გაიარა„პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოსამზადებელი კურსი“. სამსახურის უფროსი ხელმძღვანელობს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კონტროლისა და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული შემოწმების მასალებზე რეაგირების მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფს და ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ერთჯერადი კვების უფასო სასადილოში კვების და საკვები პროდუქტების ინსპექტირების ჯგუფს(ოქტომბრიდან ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობს რ. ვაჭარიძე), ასევე მონაწილეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისიის და ასპინძის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური

ასპინძის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური ყოველწლიურად თავისი პროფილიდან გამომდინარე ახორციელებს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

3 მარტს - დედის დღესთან დაკავშირებით ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა თემატური ღონისძიება;

8 მარტის, დღესასწაული მდიდარია ტრადიციებით, ღონისძიების პროგრამის ფარგლებში გაიმართა ამ დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი;

18 მარტს -,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2024’’-ის ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართულ რეგიონალური თამაშები სპორტულ სახეობა ფრენბურთში;

21 მარტს დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მუნიციპალიტეტი თანადგომის აქციით

24 მარტს - ასპინძის კულტურის ცენტრის ფოიეში ჩატარდა ,,მუნიციპალური პირველობა ჭადრაკში;

31 მარტს- ასპინძის კულტურის ცენტრის ფოიეში ჩატარდა ,,მუნიციპალური პირველობა

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის დღეს- წმ. გიორგის სახელობის ასპინძის ხვილიშის ეკლესის ეზოში მდებარე 9 აპრილის მემორიალთან გაიმართა თემატური ღონისძიება;

12 აპრილს, ა(ა)იპ ,,ასპინძის ვ. მაღრაძის სამუსიკო სკოლის'' დარბაზში ა(ა)იპ ,,მთავარი ბიბლიოთეკის'' საბავშო განყოფილების ორგანიზებით ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება ჩატარდა თემაზე ,,შენ ფუძევ ჩვენო -ენავ ქართულო''.

20 აპრილს- ასპინძაში 1770 წლის 20 აპრილს მომხდარი ასპინძის ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

14 აპრილს -გაიმართა კალიგრაფიის კონკურსი „ქართული ხელნაწერი“ , რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 15-18 წლის ასაკის კონკურსანტები. კონკურსი გამარჯვებულები გამოვლინდნენ სპეციალური კომისიის მიერ, რომლებიც დაჯილდოვდნენ როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სპეციალური ფასიანი საჩუქრებით, ასევე, სპონსორების მიერ. ხოლო მათი ნამუშევრები გამოიფინა სახალხო დღესასწაულ „ასპინძობას“.

25 აპრილს - „აჩუქე წიგნი აჩუქე თავგადასავალი“.

21 მაისს - ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე საფეხბურთო ჩემპიონატი ,,მოყვარულთა თასი -2024''-ის მუნიციპალური თამაშები.

21 მაისს "მოყვარულთა თასი 2024-ის" ფინალი გაიმართა.ფინალში გამარჯვებული სოფელ ძველის გუნდი გამარჯვებული ფეხბურთელები დააჯილდოვდნენ სამახსოვრო თასით, სიგელებით და მედლებით

8 მაისს -ევროპის კვირეულთან დაკავშირებით, დაბა ასპინძაში ცენტრალური ქუჩები საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით მოირთო

26 მაისს - საქართველო დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა. მუნიციპალიტეტში გაიმართა საზეიმო კონცერტი.

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღის ყველა სააღმზრდელო ჯგუფს მუნიციპალიტეტისაგან გადაეცათ საჩუქრად სათამაშოები.

13 ივნისს-,,მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის“ ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროში ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ტური მოეწყო.

15 ივლისს - საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, ასპინძაში ფეინთბოლში ჩემპიონატი ჩატარდა.

8 აგვისტოს, აგვისტოს ომის მე-16 წლისთავთან დაკავშირებით, დაბა ასპინძის გართობისა და დასვენების სამკუთხა პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს. ცერემონიალის შემდეგ ამ დღისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიება გაიმართა.

12 აგვისტოს ტრადიციულად, სოფელ დამალაში, კოხტას ციხეზე გაიმართა ცოტნე დადიანის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

16 სექტემბერს- სასწავლო წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველკლასელებს მოზარდ თაობაში წიგნის პოპულარიზაციის მიზნით საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

29 სექტემბერს - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ტრადიციული ,,პოეზიის სახალხო დღესასწაული - ,,შოთაობა-2024'' გაიმართა. სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით დაწესებული სიგელები საჩუქრები გადაეცათ. დღესასწაულის პროგრამის ფარგლებში საზეიმო ვითარებაში სამი მოქალაქეს გადაეცა წოდება ,,საპატიო ასპინძელი''-ს მოწმობა და მედალიონი.

დღესასწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალდაქორწინებული წყვილები ტრადიციულად ,,ვეფხისტყაოსანით'' დაასაჩუქრა. პოეზიის სახალხო დღეასაწაულზე ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულს გადაეცა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემია (1500) ლარი.

სამსახურმა თებერვლიდან-ოქტომბრის თვის მონაკვეთში ძეგლების სეზონური მონიტორინგის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მოახდინა: დაბა ასპინძის, სოფლების რუსთავის, დამალა, ვარძია, მირაშხანი, ნაქალაქევი, ფია ოშორა, სარო, ზველი ხერთვისის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობის ინსპექტირება.

ტურისტული მიმართულებით სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა სამხარეო ადმინისტრაციასთან და ტურიზმის ადგილის მართვის ოგანიზაციასთან (DMO). აღრიცხულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა განთავსების ობიექტი - სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო (ადგილებისა და ოთახების რაოდენობა) და კვების ობიექტები.